

## ანგარიში

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას ქართული ღვინის პოპულარიზაცია, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა და ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს.

საანგარიშო პერიოდში სააგენტო ზემოთ ჩამოთვლილ საქმიანობას სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ასევე მეღვინეობის სფეროში მოქმედ სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო კომპანიებთან თანამშრომლობის რეჟიმში ახორციელებდა.

მიმდინარე წლის მეორე კვარტლის საქმიანობა მოიცავდა შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

მარკეტინგი და პოპულარიზაცია;

ქართული ღვინის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია;

საკანონმდებლო საქმიანობა;

კონტროლი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებზე და ღვინის ბრენდებზე; სამომხმარებლო ბაზრის დაცვა დაბალხარისხიანი და ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან;

მევენახეობის კადასტრის პროგრამის განხორციელება და დარგთან დაკავშირებული სხვა მარკეტინგული და ადმინისტრაციული ღონისძიებები.

## მარკეტინგი და პოპულარიზაცია

საანგარიშო პერიოდში ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით ღონისძიებები გაიმართა საქართველოში და მსოფლიოს 7 ქვეყანაში: ჩინეთი, საფრანგეთი, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი, ლიტვა, იაპონია და აშშ.

## OIV-ის მაგისტრანტების ვიზიტი

ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) ღვინის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ქართული ღვინის კულტურისა და თანამედროვე მეღვინეობას გაეცნენ.

18 კაციანი ჯგუფის წევრები გაცნობითი ტურის ფარგლებში ეწვიენ კახეთს, სადაც მონახულეს ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები, გაეცნენ ქვევრის დამზადების ტექნოლოგიას, დააგემოვნეს სხვადასხვა დასახელების ქართული ღვინოები. ვიზიტის ფარგლებში მაგისტრანტებმა მონახულეს კომპანიები "შატო მუხრანი", "შუმი", "მეღვინეობა ხარება", "ფაფრის ველი", "ბადაგონი", "კახური", "მძების მარანი", "ბოლნური" და მექვევრე

ზაზა კბილაშვილი. თბილისში დაათვალიერეს ღვინის ეროვნული სააგენტოს მუზეუმი, სადაც მათთვის ქართული ღვინის კულტურის შესახებ პრეზენტაცია გაიმართა.

ქართული ღვინის წარდგენა იაპონიაში

იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში საერთაშორისო გამოფენა „Wine and Gourmet Japan 2017“ გაიმართა, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით და იაპონიაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, 14 ქართული ღვინის კომპანია იყო წარმოდგენილი.

გამოფენის ფარგლებში სპეციალური ღონისძიება, სემინარი-დეგუსტაცია „საქართველო - 8 ათასი რთველი“ გაიმართა, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ჩოლობარგია უძღვებოდა. სემინარის მიმართ ღვინის პროფესიონალებისა და ადგილობრივი მედიის მხრიდან ინტერესი დიდი იყო - მასზე დასასწრებად ცნობილი სომელიეები და ღვინის პროფესიონალები იაპონიის სხვადასხვა პრეფექტურიდან ჩამოვიდნენ.

საქართველოს სტენდზე წარმოდგენილი იყო 14 ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანია: „თელავის ღვინის მარანი“, „თბილღვინო“, „კორპორაცია ქართული ღვინო“, „იმერი“, „კახური“, „კახური ტრადიციული მეღვინეობა“, „ვანმენი“, „მარანული“, „შილდა“, „გიუანი“ „დუგლამების ღვინის კომპანია“, „შუმი“, „საწნახელი“ და „როიალ ხვანჭკარა“.

ქართული ღვინის წარდგენა ლიტვაში

ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში ბალტიისპირეთის ქვეყნების ყველაზე მასშტაბური ღვინის გამოფენა „VYNO DIENOS“ (ღვინის დღეები) ჩატარდა, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ლიტვაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 8 კომპანია მონაწილეობდა: „მეღვინეობა ხარება“, „ბესინი“, „კორპორაცია ქართული ღვინო“, „გიუანი“, „ზაქრო ვინო“, „კარდენახი 1“, „ქინძმარაულის მარანი“ და „ასკანელი ძმები“.

გამოფენის ფარგლებში სპეციალური დეგუსტაცია - „საქართველო - ღვინის სამშობლო“ გაიმართა, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მრჩეველი გიორგი თევზაძე უძღვებოდა.

კენიჩი ოჰაშის ღვინის ტური საქართველოში

ღვინის ეროვნული სააგენტოს მოწვევით, იაპონელი ღვინის მაგისტრი კენიჩი ოჰაში ქართული ღვინის ბაზრის კვლევის მიზნით საქართველოს ერთკვირიანი ვიზიტით ეწვია. იაპონელ ღვინის პროფესიონალს თან ახლდა იაპონიის სომელიეთა ასოციაციის ჟურნალის (JSA) წარმომადგენელი, ღვინის მწერალი აკიჰიკო იამამოტო, რომელიც 2018 წელს JSA-ში გამოსაქვეყნებლად ქართულ ღვინოზე ვრცელ სტატიას ამზადებს.

კენიჩი ოჰაში ერთადერთი ღვინის მაგისტრია იაპონიაში და მისი ვიზიტის მიზანი ქართული ღვინის ადგილზე გაცნობა და იაპონელ მომხმარებლისთვის შეთავაზება იყო. იაპონელ სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ დაეგემოვნებინათ შემდეგი ღვინის კომპანიების ღვინოები: „შატო მუხრანი“, „გიუანი“, „კახეთის ტრადიციული მეღვინეობა“, „შუმი“, „თელავის ღვინის მარანი“, „თელედა“, „შუხმანის ღვინოები“, „ვაზიანი კომპანი“, „შალაურის ღვინის მარანი“,

„მარანული“, „კახა ჭოტიაშვილის მეღვინეობა“, „მეღვინეობა ხარება“, ასევე ესტუმრნენ ქვევრის მწარმოებელს ზაზა კბილაშვილს, სადაც ადგილზე გაეცნენ ქვევრის წარმოების ტექნოლოგიას, ქართლში დააგემოვნეს „გოცას ღვინოები“.

იშვიათი ვაზის ჯიშებისგან დაყენებული ღვინოების პრეზენტაცია

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯიდაურას საცდელ-სადემონსტრაციო ბაზაზე იშვიათი ვაზის ჯიშებისგან დაყენებული ღვინოების პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიება, რომლის მიზანია აღნიშნული ჯიშების პოპულარიზაცია და ბაზარზე მათი სამრეწველო მიმართულებით დაბრუნება, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით გაიმართა.

ახალი ღვინოების პრეზენტაციას სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები და ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიების ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

ახალი ღვინის ფესტივალი-2017

13 მაისს, „ახალი ღვინის ფესტივალს“ მთაწმინდის პარკმა უმასპინძლა. ღონისძიება საქართველოს „ღვინის კლუბის“ ორგანიზებით, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს, თბილისის მერიისა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით გაიმართა. ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მცირე-ოჯახური და საშუალო მარნები, ასევე მსხვილი მწარმოებლები და ცნობილი კომპანიები, რომლებმაც სტუმრებს 2016 წლის მოსავლის ღვინოები წარუდგინეს. წელს კი ფესტივალზე საკუთარი პროდუქცია 110-ზე მეტმა მონაწილემ წარმოადგინა

ამერიკელი პროფესიონალები ქართულ ღვინის ბაზარს გაეცნენ

ამერიკელი ღვინის პროფესიონალების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც ღვინის იმპორტიორები, სომელიეები და ღვინის მწერლები შედიოდნენ, საქართველოს ერთკვირიანი ვიზიტით ეწვია. ჯგუფს ხელმძღვანელობდა ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი, ამერიკული მარკეტინგული კომპანია „Marq Energie“-ის მმართველი ჯული პეტერსონი (Julie Peterson).

ტურის ფარგლებში სტუმრებმა მოინახულეს ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები ქართლში, იმერეთში, გურიაში, რაჭა-ლეჩხუმში და კახეთში, სადაც გაეცნენ ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიებს, დააგემოვნეს როგორც ევროპული, ასევე ტრადიციული მეთოდებით დამზადებული ღვინოები. სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ შემდეგი ღვინის მწარმოებლების პროდუქცია: „ამირან ვეფხვაძის მარანი“, „არჩილ გუნიავას მარანი“, „რამაზ ნიკოლაძის ღვინოები“, „პატარიძის საოჯახო მეღვინეობა“, „როიალ

ხვანჭყარა“, „უსახელაურის ვენახები“, „ზურაბ თოფურიძის საოჯახო მეღვინეობა“, „მამუკა ჩხეიძის მარანი“, „იაგოს ღვინოები“, „საღვინარი“, „ვიტა ვინია“, „შალაურის ღვინის მარანი“, „ჭოტიაშვილის ღვინის მარანი“, „ფაფრის ველი“, „მუკადო ვაინსი“, „ლუკასი“, „მილორაულის მარანი“, მეღვინეობა „ნიკა“, „ოქრო ვაინსი“, „ხობის ცრემლები“ და „გიუაანი“, ასევე ეწვიენ მექვევრე ზაზა კბილაშვილს.

ქართული ღვინო ლონდონის ღვინის საერთაშორისო გამოფენაზე

ლონდონის საერთაშორისო გამოფენაში „London Wine Fair 2017“, რომელიც 22-24 მაისს საგამოფენო ცენტრ „Kensington Olympia“-ში გაიმართა. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით „London Wine Fair 2017“-ში მონაწილეობას იღებდა შემდეგი 17 ქართული კომპანია: „კახეთის ტრადიციული მეღვინეობა“, „ქინძმარაული მარანი“, „Georgian Wine Hospitality Investment“, „თბილღვინო“, „CAP-Georgia“, „კახური ღვინის მარანი“, „ასკანელი ძმები“, „შუმი“, „მეღვინეობა ხარება“, „დეულაძეების ღვინის კომპანია“, „მილდიანი/წინანდლის ძველი მარანი“, „მათრობელა ღვინოები“, „გიუაანი“, „ვაზიანი კომპანი“, „ტყუპების ღვინის მარანი“, „მარნისკარი“ და „ჯიმშერი“.მპანია მონაწილეობდა.

#### WinExpo Georgia 2017

9-11 ივნისს, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენა „WinExpo Georgia 2017“ გაიმართა, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა გახსნა. WinExpo Georgia 2017-ში 97 კომპანია სხვადასხვა სახის 170-ზე მეტი სახის ღვინოსა და ალკოჰოლურ სასმელს წარმოადგენდნენ. გამოფენაში 11 ქვეყანა - საქართველო, სომხეთი, ავსტრია, ბელგია, კვიპროსი, გერმანია, უნგრეთი, იტალია, რუსეთი, თურქეთი და უკრაინა მონაწილეობდა. WinExpo Georgia კავკასიის რეგიონში ერთადერთი გამოფენაა, სადაც წარმოდგენილია ღვინის ინდუსტრიის სრული სპექტრი.

გამოფენის ფარგლებში, 9-10 ივნისს ღვინის მე-9 საერთაშორისო კონკურსი - 9th International Wine Award 2017- გაიმართა. კონკურსზე როგორც მსხვილი კომპანიების, ისე მცირე და საოჯახო მარნების, ჯამში 43 კომპანიის, 164 სხვადასხვა სახის ღვინო იყო წარდგენილი. 10 ივნისს, საზეიმო ცერემონიაზე 6 კატეგორიაში გამარჯვებული ღვინოები გამოავლინეს და ოქროს (26 მედალი), ვერცხლის (36), ბრინჯაოს (84) მედლები და საერთაშორისო დიპლომები გადასცეს. (<http://georgianwine.gov.ge/geo/new/14103>)

იაპონელი ღვინის იმპორტიორების ვიზიტი საქართველოში

იაპონელი ღვინის იმპორტიორების ჯგუფი, ღვინის მაგისტრის კენიჩი ოჰაშის ხელმძღვანელობით, საქართველოს ერთკვირიანი ვიზიტით ეწვია. ჯგუფის შემადგენლობაში იყო ასევე ცნობილი იაპონელი სომელიე მოტოჰირო ოკოში. ვიზიტის მიზანი ქართული ღვინის ადგილზე გაცნობა და შემდგომში იაპონელი მომხმარებლისთვის შეთავაზებაა. კენიჩი ოჰაში მაისის დასაწყისში სტუმრობდა საქართველოს და სწორედ მაშინდელი ვიზიტის შედეგად გადაწყვიტა, რომ საქართველოში უკვე იმპორტიორების ჯგუფთან ერთად

ჩამოსულიყო. სტუმრები ეწვიენ 20-მდე ღვინის კომპანიას ქართლსა და კახეთში, სადაც დააგემოვნეს სხვადასხვა სტილის ღვინოები - „თბილღვინო“, „შატო მუხრანი“, „ლაგვინარი“, „გიუანი“, „მარანული“, „ფაფრის ველი“, „კარდენახის ღვინის მარანი“, „კახური ღვინის მარანი“, „თელავის ღვინის მარანი“, „კახური“, „ორგო“, „შუხმანის ვაინს ჯორჯია“, „მელვინეობა ხარება“, „შუმი“, „ალავერდის მონასტერი“, „ვაზიანი კომპანი“, „საწნახელი“, „შალაური“, „კახური ტრადიციული მელვინეობა“, „ბადაგონი“, „გოცას ღვინოები“, ასევე ესტუმრნენ მექვევრე ზაზა კბილაშვილს. იაპონელ პროფესიონალებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება კლასიკურ ღვინოებთან ერთად, ქვევრის ღვინომ მოახდინა.

## VINEXPO BORDEAUX 2017

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა საფრანგეთის ქალაქ ბორდოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ღვინის საერთაშორისო გამოფენის „ვინექსპო ბორდო 2017“-ს (Vinexpo Bordeaux 2017) გახსნას დაესწრო. Vinexpo Bordeaux ღვინის ინდუსტრიაში წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, 2017 წელს გამოფენაზე საკუთარი პროდუქცია წარმოადგინა ქართული ღვინის მწარმოებელმა 24-მა კომპანიამ - „თბილღვინო“, „შატო მუხრანი“, „GWS“, „ასკანელი მმები“, „ბადაგონი“, „კორპორაცია ქართული ღვინო“, „მელვინეობა დანიელი“, „დუგლამეების ღვინის კომპანია“, „მეგობრების მარანი“, „გიუანი“, „გრუზვინპრომი“, „KTW“, „მელვინეობა ხარება“, „ქინძმარაულის მარანი“, „კახური ღვინის მარანი“, „მარანული“, „ქიმერიონი“, „შილდა“, „შუმი“, „თელავის ღვინის მარანი“, „ვაზიანი კომპანი“, „ვაინმენი“, „კორპორაცია ქინძმარაული“ და „ბრუალე“.

მინისტრი ქართული ღვინის დეგუსტაციას „საქართველო - ღვინის სამშობლო“ დაესწრო, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი და სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარე, OIV-ს კომისიის ვიცე-პრეზიდენტი ანა გოდაბრელიძე უძღვებოდნენ.

## ჰოლანდიელი იმპორტიორების ვიზიტი

ქართული ღვინის ჰოლანდიაში პოპულარიზაციისა და ექსპორტის გაზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს მოწვევით, საქართველოს ჰოლანდიელი იმპორტიორები და ჟურნალისტები ეწვიენ, ჰოლანდიური კომპანია „Saperavi Wine Agency“-ის დირექტორის ბერნარდ ნაუტას (Bernard Nauta) ხელმძღვანელობით.

ჰოლანდიელმა სტუმრებმა ტურის ფარგლებში ქართული ღვინის კომპანიები ქართლსა და კახეთში მოინახულეს და ადგილზე დააგემოვნეს შემდეგი კომპანიების პროდუქცია: „თბილღვინო“, „გოცას ღვინოები“, „ხოხბის ცრემლები“, „თელავის ღვინის მარანი“, „შუხმან ვაინს ჯორჯია“, „ფაფრის ველი“, „კონჭო და კომპანია“. ქართული ღვინის მიმართ ინტერესი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ჯგუფის რამდენიმე წევრმა ვიზიტის გახანგრძლივება გადაწყვიტა და ისინი ასევე ეწვევიან კომპანიებს „მმების მარანი“ და „ბოლნური“.

## ქართული ღვინის წარმატება პოლონეთის საერთაშორისო კონკურსზე

პოლონეთის ქალაქ კრაკოვში გამართულ ღვინის საერთაშორისო კონკურსში „GALICJA VITIS 2017“, ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანია „მეღვინეობა შილდა“-ს ღვინოებმა - „ქისი 2015“ (თეთრი მშრალი) და „მუკუზანი 2015“ (წითელი მშრალი) ოქროს მედლები დაიმსახურა.

აღნიშნული კონკურსი ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) ეგიდით იმართება. საქართველო წელს პირველად იყო წარმოდგენილი კონკურსის ფორუმში, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე თამთა ყველაიძე იყო მიწვეული.

„ქარვისფერი ღვინო“ OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში შევა

ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციამ (OIV) დაჩქარებული წესით განხილვაში მიიღო ქართული მხარის წინადადება, რომ ქართული ტრადიციული მეთოდებით დამზადებული ღვინო, ანუ ჭაჭაზე დადუღებული ღვინო სახელწოდებით „ქარვისფერი ღვინო“, OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში შევიდეს.

ამჟამად OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში არის სულ 7 ღვინო - შუმხუნა, ცქრიალა, შემაგრებული, ლიქიორული, ბუნებრივად ტკბილი ღვინოები, „აისვანი“ და აპკის ქვეშ დავარგებული (ხერესის ტიპი). შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდეგ, ქართული „ქარვისფერი ღვინო“ OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში მერვე იქნება.

## პრეზენტაცია-დეგუსტაციები

ქართული ღვინის წარდგენა-დეგუსტაციები გაიმართა სხვადასხვა ღონისძიებაზე (ფესტივალი, კონფერენცია, სპეციალიზირებული ღონისძიება და სხვ.) ყველა იმ სტრატეგიულ ბაზარზე, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ორგანიზაციები ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდისა და პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა აქტივობებს ახორციელებენ. კერძოდ, ქართული ღვინო წარდგენილი იყო პოლონეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში და ჩინეთში, სულ ჯამში 65 ღონისძიებაზე.

## ექსპორტი

2017 წლის იანვარ-ივნისში საქართველოდან მსოფლიოს 44 ქვეყანაში ექსპორტირებულია 31,5 მლნ ბოთლი ღვინო, რაც 59%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 70,5 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 51%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

ექსპორტის მატება აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი - 104% (3842412), რუსეთი - 89% (19313343), უკრაინა - 30%(2983000), პოლონეთი - 13% (1212704), ბელარუსი - 43% (660674),

ლატვია - 19% (685508), აშშ - 43% (176274), გერმანია 20% (200440), საფრანგეთი - 457% (95530), ისრაელი - 150% (105710), აზერბაიჯანი - 241% (87402) და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი - 19313343, ჩინეთი - 3842412, უკრაინა - 2983000, პოლონეთი - 1212704 და ყაზახეთი -1163827 ბოთლი.

ამასთან, მსოფლიოს 17 ქვეყანაში ექსპორტირებულია 6 858 734 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 85%-ით აღემატება 2016 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 16 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი - მატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 88%-ს აღწევს.

საანგარიშო პერიოდში მსოფლიოს 16 ქვეყანაში ექსპორტირებულია 89 910 ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 110% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავლები 245,6 ათას აშშ დოლარს შეადგენს, ზრდამ გასული წლის საანგარიშო პერიოდთან შედარებით 52%-ს მიაღწია.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები საანგარიშო პერიოდში 122,14 მლნ აშშ დოლარს შეადგენს - ზრდამ 2016 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 56% შეადგინა.

პარლამენტმა კანონპროექტი „ვაზისა და ღვინის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მიიღო

საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის მიხედვით მოქმედ კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა.

კანონპროექტის მიღება მნიშვნელოვანია საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის, როგორც ქვეყნის ისტორიულად, კულტურულად და ეკონომიკურად პრიორიტეტული დარგის განვითარებისთვის.

„ვაზისა და ღვინის შესახებ“ კანონი 1998 წელს არის მიღებული და მასში მნიშვნელოვანი ცვლილება 2002 წლის შემდეგ არ შესულა. კანონს დაემატა ისეთი ტერმინები, როგორცაა „ქვევრის ღვინო“, „ქარვისფერი ღვინო“, „აისვანი“, „ვაზის გენეტიკური რესურსები“ და სხვა. შინაარსობრივად დაიხვეწა (ტექნიკურად დამუშავდა) ის განმარტებები, რომლებიც კანონის ცალკეული დებულებების ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდნენ. კანონიდან ამოღებულ იქნა ტერმინი - „ვაზის ჯიშების სტანდარტული ასორტიმენტი“ და შემოვიდა „სამრეწველოდ ნებადართული ჯიშების ჩამონათვალი“, ზონებისა და ქვეზონების მიხედვით დადგინდება „რეკომენდირებული ვაზის ჯიშების“ ჩამონათვალი. ასევე დადგინდა ვენახის კატეგორიები, ახლებურად განისაზღვრა სპირტიანი სასმელების კატეგორიები და მათი

წარმოების წესი. აიკრძალა ჩამოსასხმელი ღვინის ექსპორტი და დეგუსტირებას დაექვემდებარა ყველა ტიპის საექსპორტო ღვინოები.

მოქმედ კანონში განხორციელებული ცვლილებები დარგში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას შეუწყობს ხელს.

ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტი

სააგენტომ „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევისა და პოპულარიზაციის“ პროექტი 2014 წელს დაიწყო, რომლის განხორციელება მიზნად ისახავს საქართველოს, როგორც მევენახეობისა და მეღვინეობის უძველესი ტრადიციების მქონე ქვეყნის წარმოჩენას, მისი ისტორიის უწყვეტობის აღდგენას, მდიდარი მემკვიდრეობის ჩვენებას ქართველი და უცხოური ინსტიტუტებისა და მკვლევარების ერთობლივი კვლევების შედეგად.

საანგარიშო პერიოდში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

შულავერის კულტურის ძეგლებზე („გადაჭრილი გორა“, „შულავერის გორა“, პიჩორა) არქეოლოგიური ნიმუშები ისრაელის ვეისმანის ინსტიტუტის D-REAMS ლაბორატორიაში დათარიღდა C14 მეთოდით.

- პროექტის ფარგლებში ეროვნულმა მუზეუმმა შეასრულა არქეოლოგიური გათხრების დროს მევენახეობა - მეღვინეობასთან დაკავშირებული 2016-2017 წლებში აღმოჩენილი არტეფაქტების მოძიება „შულავერის კულტურის“ (ძვ. წ. მე-6 ათასწლეული) და საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული სხვადასხვა რეგიონალური არქეოლოგიური ძეგლებიდან. შედეგად, დამუშავდა და შემდგომი ლაბორატორიული კვლევებისათვის შეირჩა 523 საანალიზო ნიმუში მიკრომორფოლოგიური, რადიოკარბონული, ლითოლოგიური, პალინოლოგიური, არქეობოტანიკური, ბიო-მოლეკულური და ფიტოლიტური კვლევებისათვის.
- პროექტში მოწვეულია საფრანგეთის Centre d'études des mondes russe, caucasien et centre-européen (CERCEC) მკვლევარი, დოქტორი ანა ჭეიშვილი. ეს ცენტრი ერთადერთია კავკასიის ისტორიისა და ცივილიზაციის კვლევაში და წარმოადგენს l'Ecole des Hautes Etudes en Sciences Sociales (EHESS) -ის ლაბორატორიას, ასევე ექვემდებარება CNRS-ს (საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრი). მისი პროექტში მოწვევის მიზანია ფრანგულენოვან პუბლიკაციებში და საფრანგეთის საარქივო დაწესებულებებში ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის შესახებ არსებული მასალების (სტატიები, წიგნები, საარქივო ჩანაწერები, ფოტოები) მოძიება, მათი სისტემატიზაცია, ციფრულ ფორმატში გადაყვანა, საძიებლების გაკეთება, გადმოცემა მათი შემდგომი კვლევებისათვის, შეკრებილი მასალების შესწავლისა და ანალიზის შემდეგ სტატიის მომზადება ქართულ ან/და უცხოურ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნების მიზნით.
- სოფლის მურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის ჯიდაურას ველური ვაზის კოლექციაში შესრულდა პირველი დაკვირვებები.



- პროექტის მონაწილე მეცნიერები სხვადასხვა დისციპლინებიდან პროფ. პატრიკ მაკგოვერნის ხელმძღვანელობით განაგრძობდნენ მუშაობას პუბლიკაციის მოსამზადებლად ნეოლოთური პერიოდის საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ.

## ვენახეობის კადასტრის პროგრამა

2017 წელს ღვინის ეროვნულმა სააგენტომ გააგრძელა ვენახეობის კადასტრის პროგრამის განხორციელება. მეორე კვარტალში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია, ჩატარდა ტენდერი და შეირჩა გამარჯვებული კომპანია „რუკა მაპინგი“, რომელიც შეასრულებს ახმეტის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წლის ბოლომდე ვენახეობის საკადასტრო სამუშაოს, რაც მოიცავს ორთოფოტოების გადაღებას, საკადასტრო რუკების მომზადებას, სააბენკეტო ინფორმაციის შეკრებას მევენახეთა შესახებ, ვენახეობის იდენტიფიკაციას და ვექტორიზაციას. შემუშავდა ვენახეობის ამონაწერის ფორმა, როგორც საკომუნიკაციო საშუალება საქართველოს ვენახეობის კადასტრსა და მევენახეთა შორის.

დაიწყო საკადასტრო ინფორმაციის სრულყოფის შემდგომი საფეხური, რომლის ფარგლებშიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს კახეთის რეგიონალური სამმართველოს თანამშრომლებს და რეგიონის რწმუნებულებს გადაეცათ ყვარლისა და თელავის მუნიციპალიტეტების მევენახეობის საკადასტრო რუკები და მონაცემთა ბაზები ინფორმაციის გადამოწმების და სრულყოფის მიზნით.

## ლაბორატორიული შემოწმება

ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიამ საანგარიშო პერიოდში ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით 28 დეგუსტაცია ჩატარა. სულ წარმოდგენილი იყო 876 ნიმუში, მათგან 94 შეფასდა უარყოფითად, დანარჩენი 782 დადებითად.

## სერტიფიცირება

საექსპორტო დოკუმენტაციის მისაღებად სერტიფიცირებაზე შემოვიდა სულ - 1631 განაცხადი:

შემოსული განაცხადების საფუძველზე გაიცა სხვადასხვა დანიშნულების დოკუმენტაცია:

- VI-1 ფორმის სერტიფიკატი / ევროგაერთიანების ქვეყნებისათვის/ - 1199 ცალი;

- შესაბამისობის სერტიფიკატი - 1462 ცალი;

სხვადასხვა ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელ კომპანიაზე ღვინის ეროვნული სააგენტოს სერტიფიცირების სამმართველოს მიერ გაცემულია სულ - 2661 სერტიფიკატი.

#### ინსპექტირება

საანგარიშო პერიოდში საექსპორტო ადგილწარმოშობის, სუფრის ღვინოებისა და ღვინის ბრენდის (ლოტთან მიმართებაში) სახელმწიფო კონტროლი 32 კომპანიაში განხორციელდა. საექსპორტო პარტიებიდან შემოწმდა 174 ნიმუში. ინსპექტირების შედეგად ხუთ კომპანიაში 10 ნიმუში არ შეესაბამებოდა ლაბორატორიის მიერ ლოტზე გაცემულ ფიზიკო-ქიმიურ მახასიათებლებს, რის შედეგად აღნიშნულ კომპანიებს კონკრეტული ღვინოების ექსპორტირებაზე უარი განეცხადათ.